

საბაჟო სტატისტიკის მეთოდოლოგიური საკითხები

მერი დაუშვილი
თსუ დოქტორანტი

შესავალი

მსოფლიოში გლობალიზაციის ფონზე მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები დიდ გავლენას ახდენენ ოფიციალურ სტატისტიკაზე. სტატისტიკის ამოცანები სცილდება ეროვნული მოთხოვნილებების საზღვრებს, რადგან ყველა სტატისტიკური მონაცემი შესადარი უნდა იყოს საერთაშორისო დონეზე და შესაბამისი უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით სტატისტიკური სისტემები ფაქტობრივად ინტეგრირებული სუბიექტების ეკონომიკის მართვის აუცილებელი წინაპირობა ხდება.

საბაჟო სტატისტიკა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო საბაჟო სამსახურის, არამედ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ინფორმაციულ უზრუნველყოფას საქართველოს საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო ორგანოების საქმიანობის შესახებ. ამის შესაბამისად, საბაჟო სტატისტიკა, როგორც სტატისტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, შეისწავლის არა მარტო საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენების რაოდენობრივ მხარეს, არამედ საბაჟო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო გადასახადების კუთხით შემოსული თანხების აღრიცხვასა და ანალიზთან, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლასთან და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევასთან. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **საბაჟო სტატისტიკა შედგება ორი ნაწილისაგან: საგარეო ვაჭრობის სტატისტიკისა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკისაგან.** საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა შეისწავლის ექსპორტის, იმ-

პორტის და საგარეო ვაჭრობის ბრუნვის სტატისტიკას. ისინი ასახავენ ნატურალურ და ღირებულებით გამოსახულებაში საქონლის მოძრაობას სასაქონლო ჯგუფების, საბაჟო პროცედურების და სხვა ნიშნების მიხედვით. ხოლო სპეციალური საბაჟო სტატისტიკა მოიცავს დეკლარირების სტატისტიკას, საბაჟო გადასახადების სტატისტიკას, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევებს, კონტრაბანდის, კონფისკაციის, საერთაშორისო გადაზიდვების, საერთაშორისო საფოსტო გზავნილების სტატისტიკასა და სხვ.

საკვანძო სიტყვები: მეთოდოლოგია, სტატისტიკა, საბაჟო, ანალიზი, აღრიცხვა, ზოგადი, სპეციალური.

ძირითადი ტექსტი

საბაჟო სტატისტიკის ბაზის ფორმირებისათვის ამოსავალს წარმოადგენს, სასაქონლო დეკლარაციებში ასახული მონაცემები და იმ სხვა დოკუმენტაციების მასალები, რომლებიც წარედგინება საბაჟო ორგანოებს.

საბაჟო სტატისტიკის წარმოების ძირითად ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტს მიეკუთვნება საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგია. საგარეო ვაჭრობის საქმიანობის მეთოდოლოგიური კონცეფციები, პრინციპები, წესები და კრიტერიუმები თავმოყრილია სამ ძირითად საერთაშორისო სტანდარტში: „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა“ (ნიუ იორკი, 2004 წ.)¹ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, უახლესი რეკომენდაციები „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, კონცეფციები და განსაზღვრებები 2010 წ.“ (ნიუ იორკი, 2011 წ.)² და საერთაშორისო სავაჭრო მომსახურების სახელმძღვა-

1 International Merchandise Trade Statistics. Compilers Manual. New York. 2004.

http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/International%20Merchandise%20Trade%20Statistics.pdf

2 Статистика международной торговли товарами: концепции и определения, 2010 год. – Нью-Йорк, Организация Объединенных Наций, 2011. – URL: http://unstats.un.org/unsd/publication/SeriesM/SeriesM_52rev3r.pdf

ნელო.¹

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სხვადასხვა ქვეყნებს შორის პარტნიორების სტატისტიკა ეფუძნება საბაჟო დეკლარაციების ელექტრონულ ასლებს, სადაც წარმოდგენილია სტატისტიკური აღრიცხვისათვის აუცილებელი საქონლის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემები. ამ უკანასკნელის, აგრეთვე საზღვარგარეთ გაწეული მომსახურებისა და უცხოეთიდან მიღებული მომსახურების მონაცემების საფუძველზე ფორმირდება ერთიანი ინფორმაციული ბაზა, რომლის ანალიზის საფუძველზე მიიღება ინფორმაცია ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მოცულობისა და სტრუქტურის, საგარეო ვაჭრობის სასაქონლო და რეგიონალური სტრუქტურის, აგრეთვე იმპორტისა და ექსპორტის საერთო მოცულობაში ცალკეული სახის საქონლის წილების შესახებ. ყოველივე ამის საფუძველზე კი საბაჟო სტატისტიკა ავლენს ახალ, პერსპექტიულ საბაზრო ნიშებს, საჭირო ბაზრის სეგმენტზე განსაზღვრავს უცხოელ პარტნიორებთან მუშაობის შედარებით ხელსაყრელი პირობებს. ზისიც ფაქტია, რომ **ცალკეული ქვეყნების საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის სტატისტიკის მეთოდოლოგიური თავისებურებების გამო ფიქსირდება ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ მონაცემებს შორის ცდომილობები.** ამის გათვალისწინებით, საქონლის არასაიმედო დეკლარირების რისკების შეფასებისას მიზანშეწონილია იმ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის „ალტერნატიული“ სტატისტიკური მონაცემების შედარება, რომელთა შორისაც განხორციელდა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობა. ეს მეთოდი ე.წ. სარკისებური სტატისტიკის“ სახელწოდებითაა ცნობილი, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს შეუსაბამოების გამოვლენა და ემპირიული მონაცემების საფუძველზე მოხდეს მათი განაწილება წარმოქმნის მიზეზების მიხედვით (რეექსპორტი, განსხვავება მეთოდო-

1 Руководство по статистике международной торговли услугами, 2010 год. Нью-Йорк, Организация Объединенных Наций, 2011

2 Терехов В.А. Таможенная статистика в условиях функционирования Таможенного союза. учебное пособие/ М.: Юрайт, 2013. – 359 с.

ლოგიაში და სხვა). ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნა ერთია, საბაჟო მოვლენების სტატისტიკური ანალიზის დროს გამოვლენილი ძირითადი პრობლემები სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკური აღრიცხვის განსხვავებულ მეთოდოლოგიაში მდგომარეობს, გასათვალისწინებელია აგრეთვე საგარეო ვაჭრობის ურთიერთობაში ჩართული მხარეების მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევები.

საბაჟო სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძველი განსაზღვრავს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში სტატისტიკური დაკვირვების ობიექტს, აღრიცხვის წესებსა და მეთოდებს. ამის შესაბამისად, საქართველოში საბაჟო სტატისტიკის ბაზის ფორმირებისას ამოსავალ მონაცემებს წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის სასაქონლო დეკლარაციების მონაცემები და საბაჟო ორგანოებისადმი წარდგენილი სხვა დოკუმენტების მასალები. გასათვალისწინებელია, რომ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში წყლის, სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო გადაზიდვებისას დეკლარირების დროს იმპორტისა და ექსპორტის აღრიცხვა ხორციელდება სასაქონლო დეკლარაციაში საქონლის გამოშვების თარიღის მიხედვით. რაც შეეხება იმ საქონლის ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვას, რომლის გადატანა ხდება მილსადენებისა (ნავთობი, გაზი, და ა.შ.) და ელექტრო გადამცემი საშუალებებით, ის ხორციელდება მათი ტრანსპორტირებისა და დეკლარირების თავისებურებების გათვალისწინებით.

ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს 1995 წლიდან. საქსტატი ამუშავებს მონაცემებს როგორც ქვეყნების მიხედვით, ისე სასაქონლო ჭრილში. ხოლო 2012 წლიდან კი აქვეყნებს საგარეო ვაჭრობის აგრეგირებულ მონაცემებს. ყოველივე ამის უზრუნველსაყოფად სტატისტიკის ეროვნული სამსახური საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოებას ახდენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზემოთხსენებული სახელმძღვანელების შესაბამისად.

ცნობილია, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის

ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა. ექსპორტში იგულისხმება როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა საზღვარგარეთ, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი. იმპორტში იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა და ექსპორტირებული საქონლის რეიმპორტი. ექსპორტი აღრიცხულია FOB, ანუ ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (მოიცავს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე დატვირთვის ხარჯებს), ხოლო იმპორტი CIF, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (გარდა ფასისა მოიცავს საერთაშორისო ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს).¹

საგარეო ეკონომიკურ კავშირურობათა სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ). გარკვეული ნიშნების მიხედვით კლასიფიცირებული სხვადასხვა დასახელების საქონლის ბაზაზე შექმნილია ესნ-ის სისტემა, რომელიც გამოიყენება ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკურ აღრიცხვისას. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რეკომენდირებულია მისი განახლება ხუთ წელიწადში ერთხელ.

საინტერესოა როდის **განახლდა სეს ესნ** და მისი რომელი **ვერსია** მოქმედებს დღეს **საქართველოში**.

2012 წლამდე მოქმედებდა 2006 წლის სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედებული სეს ესნ-ის 2002 წლის ვერსია, რომლის დეტალიზაცია მოხდა 11 ნიშნა დონეზე 2012 წლის 1 მაისიდან მოხდა გადასვლა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ახალ 2012 წლის ჰარმონიზებულ ვერსიაზე. ახალ ვერსიაში ზოგიერთი საქონელი უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი, ხოლო ზოგიერთი (დიდი ნაწილი) – გამსხვილებული სახით. მასში ქვეყნების ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით აისახა მსოფლიო ბაზარზე როგორც

¹ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მოკლე მეთოდოლოგია. www.geostat.ge

ექსპორტში, ისე იმპორტში გამოვლენილი ტენდენციები და სა-საქონლო ჯგუფების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები.

საბაჟო სტატისტიკის წარმოებისას მიზანშეწონილია სა-ქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღირიცხოს ყველა საქონელი, რომელიც გადაკვეთს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიას. ცხადია, ქვეყნის მატერიალური რესურსების მარაგები გაიზრდება იმპორტის, ხოლო შემცირდება ექსპორტის შემთხვევაში. რაც შეეხება სატრანზიტო ან დროებითი ტვირთებს, მათი ასახვა საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში არ ხდება, გარდა გადასამუშავებლად შემოტანილი საქონლისა.

ცნობილია, რომ საერთაშორისო სტატისტიკურ პრაქტიკაში არსებობს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ორი საყოველთაოდ აღიარებული სისტემა: „სპეციალური“ და „ზოგადი.“ საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის „ზოგადი“ მეთოდის დროს ექსპორტის და იმპორტის აღრიცხვა ხორციელდება საქონლის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის მომენტში, და „სპეციალური „ მეთოდის დროს - ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტში. ეს განსხვავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც საქონელი გადის თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი სანჯოების გავლით, რომლებიც სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილია, სადაც ისინი საბაჟო ტერიტორიის გარეთ მდებარეობენ და არ ექვემდებარებიან საბაჟო კონტროლს. აქ აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ზოგადი მეთოდით აღრიცხვისას სავაჭრო სასაქონლო ნაკადები აღირიცხება საზღვრის გადაკვეთის მომენტში, ხოლო სპეციალური მეთოდით აღრიცხვისას კი საზღვრის გადაკვეთა, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად არაარსებითია, რადგან საქონლის ექსპორტი რეგისტრირდება მაშინ, როდესაც ის ტოვებს ექსპორტიორი ეკონომიკური ერთეულის სანჯოებს. მაშინ როდესაც იმპორტის დროს საქონელი უშუალოდ გადადის იმპორტიორი ეკონომიკური ერთეულის განკარგულებაში, როდესაც საქონელი გადაკვეთს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვარს ან გადადის პირდაპირ საბაჟო სათავსოდან, სადაც ის განთავსდა იმპორტიორი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთამდე.

საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია, რომ საქართველოში გამოყენებული იყოს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი მეთოდი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა. ზოგადი მეთოდი უზრუნველყოფს უფრო მეტ მიახლოებას საქონლის მფლობელის ცვლილების კრიტერიუმთან, რომელიც რეკომენდებულია საერთაშორისო მეთოდოლოგიებში. ამ მეთოდის თანახმად პარტნიორი ქვეყნის დადგენის ძირითადი კრიტერიუმებია: საქონლის წარმოშობის ან გამომგზავნი ქვეყანა-იმპორტის დროს, ხოლო საბოლოო დანიშნულების ქვეყანა-ექსპორტის დროს. საქართველოში საბაჟო სტატისტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა. გარდა ამისა ინფორმაციის შევსება ხორციელდება შსს-ის მომსახურების სააგენტოდან მიღებული მონაცემების (სატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობის შესახებ), შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისა“ (ბუნებრივი აირი) და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტი) მონაცემების საფუძველზე.

შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საქსტატი ახორციელებს: სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზის კონტროლს სხვადასხვა ნიშნის: საქონლის კოდის, ფასის, წონის, დამატებითი ზომის ერთეულის, გამგზავნი/მიმღები ქვეყნის მიხედვით, ბაზების კორექტირებას, საჭიროების შემთხვევაში საქონლის ღირებულების, რაოდენობის, ან დამატებითი ზომის ერთეულის კორექტირებას, ბაზიდან იმ საქონლის ამოღებას, რომელიც არ განეკუთვნება საქონლით საგარეო ვაჭრობას (დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი; დიპლომატიური და სხვა სახის ტვირთები, მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქალაქები, ბანკნოტები და მო-

ნეტები და ა.შ).¹

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ეყრდნობა რა საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას“ სტატისტიკური ღირებულების გაანგარიშებას ახორციელებს აშშ დოლარებში საბაჟო ორგანოების მიერ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების გაფორმების მომენტში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოებისას ემპირიული მონაცემები გარკვეული ცდომილებით ხასიათდებიან, რადგან საგარეო სავაჭრო ოპერაციების ნაწილი აღურიცხავი რჩება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეგისტრირებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობა არ შეესაბამება რეალური ნაკადების სიდიდეს. ეს გამომწვეულია იმით, რომ რომ არასრულყოფილად ხდება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში საქონლის წარმოშობის ქვეყნის დაფიქსირება; აგრეთვე ველის - „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ – შევსება; შსს-ის მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში არ ხორციელდება იმპორტირებული ავტომობილების შესახებ მიახლოებითი საბაზრო ღირებულების მითითება და შესაბამისი კოდების მინიჭება; არასრულყოფილად ხდება გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის შევსება ქვეყნების, თერთმეტნიშნა დონეზე საქონლის კოდების, ღირებულების მითითებით და სხვა.

ვაჭრობის ზოგადი სისტემის შემთხვევაში საიმპორტო ნაკადების გადაადგილება ქვეყანაში ხორციელდება დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტის (როცა ტრანზიტული საქონელი რჩება ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე) შედეგად.

საიმპორტო საქონელში გამოიყოფა უცხოური საქონელი (გარდა მაკომპენსირებელი პროდუქციისა, მიღებული გარე გადამუშავების შედეგად), რომელიც შედგება მაკომპენსირებე-

¹ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მოკლე მეთოდოლოგია. www.geostat.ge

ლი პროდუქციისგან მიღებული გარე გადამუშავების შედეგად, ადრე ექსპორტირებული ეროვნული წარმოების საქონელი (იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო ექსპორტირებული).¹

აღრიცხვის „ზოგადი“ სისტემით, იმპორტის სტატისტიკური შესწავლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კატეგორიის საქონელი:

- თავისუფალი მიმოქცევის იმპორტირებული საქონელი.
- საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების მიზნით რეიმპორტირებული საქონელი;
- საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების შემდეგ იმპორტირებული საქონელი;
- საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავებული საქონელი;
- რეექსპორტის რეჟიმით შემოტანილი საქონელი;
- საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი საბაჟო ზონებსა და თავისუფალ სანჯობებში შემოტანილი საქონელი;
- შემოტანილი საქონელი, რომელზეც პირი უარსაცხადებს სახელმწიფოს სასარგებლოდ;
- დუტი ფრის მაღაზიებში შემოტანილი უცხოური საქონელი;
- ერთი წლის ან მეტი ვადით იჯარით აღებული საქონელი.

ზოგადად, იმპორტი მოიცავს შემდეგ სასაქონლო ნაკადებს:

- უცხოური საქონლის იმპორტს თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;
- უცხოური საქონლის იმპორტს (გარდა გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისა) საბაჟო სანჯობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;
- უცხოური საქონლის იმპორტს, რომელიც შედგება გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი

¹ ო.აბესაძე ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი. https://tsu.ge/data/file_db/library/otar-abesadze-disertacia.pdf

პროდუქციისგან, თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;

➤ უცხოური საქონლის იმპორტს, რომელიც შედგება გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, საბაჟო სანჯობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;

➤ ეროვნული წარმოების საქონელს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ადრე იყვნენ ექსპორტირებული, თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;¹

➤ ეროვნული წარმოების საქონელს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ადრე იყვნენ ექსპორტირებული, საბაჟო სანჯობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან.

აღრიცხვის „ზოგადი“ სისტემით ექსპორტის სტატისტიკური შესწავლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კატეგორიის საქონელი:

➤ თავისუფალი მიმოქცევის ზონიდან, შიდა გადამუშავების ტერიტორიიდან ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონებიდან გადაადგილებული ნაკადები;

➤ საბაჟო სანჯობებიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონებიდან ექსპორტირებული საქონელი;

➤ ეროვნული საქონელი, რომელიც წარმოებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში ან გადაადგილებულია თავისუფალი მიმოქცევის ზონიდან;

➤ ეროვნული წარმოების საქონელი შიდა გადამუშავების შემდეგ, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, ანუ პროდუქცია მიღებულია დამუშავების, გადამუშავების ან შეკეთების შედეგად;

➤ თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავებისა და

1 International Merchandise Trade Statistics. Compilers Manual. New York.2004.pp.36

თავისუფალი ინდუსტრიული ზონებიდან, თავისუფალი ვაჭრობის ან საბაჟო საწყობის ზონიდან უცხოური წარმოების საქონლის რეექსპორტი იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყო იმპორტირებული.

➤ უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში უცხოური წარმოების საქონლის რეექსპორტი იმავე ფორმით, როგორც იყო იმპორტირებული;¹

➤ აღსანიშნავია, რომ არსებობს ზოგიერთი კატეგორიის საქონელი, რომლებიც საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღრიცხვას არ ექვემდებარება. ასეთის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზაში გამოვლენის შემთხვევაში საქსტატის მიერ როგორც უკვე აღვნიშნეთ **Ex**ორციელდება ბაზების კორექტირება. ასეთი ტიპის საქონელს მიეკუთვნება:

➤ მონეტარული ოქრო, როგორც საფინანსო აქტივი;

➤ მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები;

➤ დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი. (მაგ. გამოფენებზე გატანილი ხელოვნების ნიმუშები, საწარმოო ნიმუშები, სადემონსტრაციო მოწყობილობები და სამეცნიერო-მეთოდური მასალები, აგრეთვე შეჯიბრებაზე გაყვანილი ცოცხალი ცხოველები და სხვ.)

➤ ტერიტორიული ანკლავებიდან მიღებული ან გაგზავნილი საქონელი. მას მიეკუთვნება ე.წ. დიპლომატიური ტვირთები, რომელიც განიხილება როგორც შიდა სავაჭრო ნაკადები;

➤ სატრანზიტო ტვირთები, რომლებიც გადაადგილდებიან საბაჟო ტერიტორიის გავლით მხოლოდ ტრანსპორტირების მიზნით (კიოტოს კონვენცია);

➤ რეზიდენტების მიერ არარეზიდენტის საკუთრებაში არაფინანსური აქტივების გადაცემა საზღვრის გადაკვეთის გარეშე. ეს აქტივები მოიცავს: მიწას, დანადგარებს და მატერიალურ მარაგებს, მოწყობილობებს. არაფინანსურ აქტივებ-

1 ძეგისაური, ლ. საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. დისერტაცია. თბილისი, 2012, გვ. 28-30

ზე ასეთი სახის საკუთრების ცვლილება ითვლება ფინანსურ ოპერაციად;

➤ საქონელი, რომელიც განიხილება, როგორც მომსახურებით ვაჭრობა. ეს მოიცავს: ა) ყველა კატეგორიის (მათ შორის მომუშავე არარეზიდენტების) ჩამოსული მგზავრის მიერ შეძენილ და საზღვარზე გადატანილ საქონელს, რომლებიც არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს; ბ) პირდაპირი გამონერის წესით გაგზავნილი გაზეთები და პერიოდული გამოცემები. გ) უცხოური სახელმწიფოების ანკლავებისა (საელჩოები, სამხედრო და სამეცნიერო ბაზები და ა.შ.) და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მონოდებული საქონელი, რომლებიც განლაგებულია მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე. დ) ინფორმაციის მატარებლები, რომლებზეც ჩანერილია ინდივიდუალური დაკვეთით შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა;¹

➤ შემდგომი გადაყიდვისათვის შეძენილი საქონელი. (გადაყიდვის ქვეშ იგულისხმება, სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის რეზიდენტის მიერ ამავე ქვეყნის არარეზიდენტისგან საქონლის ყიდვა, საზღვრის გადაკვეთის გარეშე სხვა არარეზიდენტისათვის ამავე საქონლის მიყიდვის მიზნით);

➤ ექსპორტიორი ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გზაში დაკარგული ან განადგურებული საქონელი, იმპორტიორი ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე შეტანამდე, ეს საქონელი არ აისახება იმპორტიორი ქვეყნის იმპორტში, მაგრამ უნდა აისახოს ექსპორტიორი ქვეყნის ექსპორტის სტატისტიკაში. მაშინ როდესაც იმპორტიორ ქვეყანას აქვს ასეთი სახის საქონელზე საკუთრების უფლება, საჭიროა მისი ღირებულება ცალკე აღირიცხოს იმპორტიორი ქვეყნის მიერ საქონლის მთლიანი იმპორტის გაანგარიშების დროს საგადასახდელო ბალანსისა და ეროვნული ანგარიშების წარმოების მიზნებიდან გამომდინარე;

➤ ტვირთების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული

¹ საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, ცნებები და განმარტებები 2010, გაერო, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 22-25.

საქონელი, მასში შედის ხომალდები, საფრენი აპარატები, კონტეინერები და ასევე ხელახალი გამოყენებისათვის დაბრუნებული ცარიელი ბოთლები,

➤ სარემონტოდ განკუთვნილი და სხვა სახის საქონელი.¹

მართალია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, აისახება სხვადასხვა კატეგორიის საქონელი, მაგრამ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის 2010 წლის რეკომენდაციების მიხედვით ზოგიერთი კატეგორიის საქონელი, მაგალითად, საქონელი, რომელიც განკუთვნილია გადამუშავებისათვის (საკუთრების უფლების ცვლილების გარეშე) და საქონელი, რომელიც საზღვარს კვეთს ორ მხარეს შორის განხორციელებული ოპერაციების საფუძველზე, აუცილებელია ცალკე აღირიცხოს საგადასახდლო ბალანსისა (BPM6) და ეროვნული ანგარიშების (SNA-2008) წარმოების მიზნებისა და საჭიროებიდან გამომდინარე. გარდა ამისა უნდა გამოიყოს ის საქონელი, რომელიც ცალკე აღირიცხება და არ აისახება საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში. მას მიეკუთვნება: ტექნიკური მომსახურების მიზნით ან სარემონტოდ გადატანილი საქონელი; ჯარით და ნარჩენები; საზღვარზე არალეგალურად გადაადგილებული საქონელი; საქონელი, რომელიც განადგურდა ან დაიკარგა იმპორტიორზე საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ.²

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ ზოგადი მეთოდით საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის არეალი ფართეა და მისი გამოყენება საქონლის მფლობელის ცვლილების კრიტერიუმთან უფრო მეტად მიახლოებას უზრუნველყოფს.

მნიშვნელოვანია სრულყოფილი ინფორმაციული ბაზების არსებობის საკითხიც. გასათვალისწინებელია, რომ განვითარებულ ქვეყნებში საბაჟო სტატისტიკის ინფორმაციის წყაროს

1 იქვე.

2 საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, ცნებები და განმარტებები 2010, გაერო, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 22-25

ძირითადი ოფიციალური სტატისტიკის გარდა, პერმანენტული კვლევები წარმოადგენს, ხოლო საქართველოში მთავარი ინფორმაციული რესურსი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემებია. ამასთან, ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის მეთოდოლოგია და მისი გამოყენების მიდგომები. ყოველივე ეს კვეთავს მონაცემთა შეუსაბამობის პრობლემას, რომლის დაძლევა საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვან გადასაწყვეტ პრობლემას წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია ხდებოდეს სარკისებური შედარება სხვა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ მონაცემებთან, სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს ევროსტატის ექსპერტების ერთ-ერთ რეკომენდაციას, დაფინანსების წყაროების არსებობის შემთხვევაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად განახორციელებს შესაბამის ქმედებებს ამ პროცედურებთან დაკავშირებით.

ლიტერატურა

1. https://tsu.ge/data/file_db/library/otar-abetesadze-disertacia.pdf
2. გ. ურიდია, ფ. რუხაია, საბაჟო საქმის თეორია. 2009.
3. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000614/Dze-bisauri%20L.pdf>
4. www.geostat.ge
5. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/International%20Merchandise%20Trade%20Statistics.pdf
6. International Merchandise Trade Statistics. Compilers Manual. New York. 2004.
7. Бондаренко А.В. Вопросы информационного взаимодействия участников ВЭД и уполномоченных государственных органов. учебное пособие/ М. 2014. – 643 с.
8. URL: <http://unstats.un.org/unsd/publication/SeriesM/>

SeriesM_52rev3r.pdf

9. Руководство по статистике международной торговли услугами, 2010 год. Нью-Йорк, Организация Объединенных Наций, 2011.

10. http://unstats.un.org/unsd/publication/Seriesm/series-M_86Rev1r.pdf 10

REFERENCES:

1. https://tsu.ge/data/file_db/library/otar-abetesadze-disertacia.pdf

2. გ. ურიდია, ფ. რუხაია, საბაჟო საქმის თეორია. 2009.

3. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000614/Dzebisauri%20L.pdf>

4. www.geostat.ge

5. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/International%20Merchandise%20Trade%20Statistics.pdf

6. International Merchandise Trade Statistics. Compilers Manual. New York. 2004.

7. Бондаренко А.В. Вопросы информационного взаимодействия участников ВЭД и уполномоченных государственных органов. учебное пособие/ М. 2014. – 643 с.

8. URL: http://unstats.un.org/unsd/publication/SeriesM/Series-M_52rev3r.pdf

9. Руководство по статистике международной торговли услугами, 2010 год. Нью-Йорк, Организация Объединенных Наций, 2011.

10. http://unstats.un.org/unsd/publication/Seriesm/series-M_86Rev1r.pdf 10

METHODOLOGY OF CUSTOMS STATISTICS

Meri Daushvili

PhD student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

RESUME

The methodology of producing Customs Statistics has been discussed in the article, analyzed the main indicators of Foreign Trade Statistics and the Special Customs Statistics.

It has also been discussed the special and general systems of Foreign Trade registration in the field of distinctive features. The paper deals with the classification of import and export commodity category.

The focus is on comprehensive information bases necessity. Varied of foreign trade customs statistics methodology and approaches to its use, raises the problem of data inconsistency, the reduction of its in international practice is one of the important tasks of the tackling.

Keywords: Methodology, statistics, customs, analysis, accounting, general, special.